საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030480618347619

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/28040 **27 / მაისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური
დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის
დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ ნინო ოდიშარიას

ქალბატონო ნინო,

2019 წლის 3 მაისის N01/7867 წერილის პასუხად, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის N2741/4-13/19 წერილში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს საშტატო ნუსხით გათვალისწინებული სოციალური მუშაკების რაოდენობა გაიზარდა 30 სოციალური მუშაკის საშტატო ერთეულით.

2019 წლის 13 მაისიდან, სააგენტოს საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ფსიქოლოგების არსებულ რაოდენობას დაემატა ფსიქოლოგის სამი საშტატო ერთეული (გლდანი–ნაძალადევის სერვისცენტრს, აჭარის ა/რ ფილიალს, იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს). არსებული ცვლილებების გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით, სააგენტოს საშტატო ნუსხით დამტკიცებულია ფსიქოლოგის 14, უფროსი სოციალური მუშაკის 21 და სოციალური მუშაკის 250 საშტატო ერთეული. გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 აპრილის N7 ოქმის შესაბამისად, დაემატა 20 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (სოციალური მუშაკი) საპროცესო წარმომადგენლობისა და რეინტეგრაციის პროცედურების განხორციელების მიზნით.

ასევე გაცნობებთ, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრებსა და რაიონულ განყოფილებებში, დამოუკიდებელი მოსალაპარაკებელი ოთახების მოსაწყობად სამუშაოები უნდა განხორციელდეს სულ 29 რაიონულ განყოფილებაში. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, განხორციელებული სატენდერო პროცედურების შედეგად, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე გაფორმებულია 21 ობიექტზე, ხოლო ხუთ ობიექტზე მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმების პროცესი. სამი რაიონული განყოფილების სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, უახლოეს მომავალში გამოვლინდება მიმწოდებელი ორგანიზაცია (აღნიშნული რაიონების მოწყობისათვის გამოცხადებული ტენდერი ორჯერ ჩაიშალა). 10 რაიონულ განყოფილებაში სამუშაოები უკვე დასრულებულია ხოლო 15 რაიონულ განყოფილებაში ეტაპობრივად მიმდინარეობს სამუშაოები. ამასთან, სააგენტოს 39 რაიონულ განყოფილებაში დამონტაჟდა საგანგაშო დაცვის ღილაკები (სოციალური მუშაკების მოთხოვნით). ვინაიდან, ადიგენის, ქარელის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონებში არსებულ ოფისებში, ფართის სიმცირის გამო, შეუძლებელია დამოუკიდებელი ოთახების მოწყობა, სააგენტოს მიერ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან გაიგზავნა შესაბამისი წერილები და მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები დამატებითი ფართების გამოყოფის თაობაზე. ამ ეტაპზე, ფართი გადმოგვეცა მხოლოდ ქარელის რაიონული განყოფილებისთვის, სადაც დაიწყება შესაბამისი (პროექტირების)

სამუშაოების წარმოების პროცესი. სააგენტოს სოციალური მუშაკების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის ხუთივე რაიონში მიმაგრებულია თითო-თითო ავტომანქანა, ხოლო რეგიონებში განაწილებულია 12 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება. ნებისმიერი სხვა საჭიროების შემთხვევაში, დღე-ღამის განმავლობაში, ყველა ქალაქსა და რაიონში მომსახურება ხდება სააგენტოს სარგებლობაში არსებული მორიგე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით. უახლოეს მომავალში, სააგენტოსათვის იგეგმება კიდევ შვიდი ავტომობილის გადმოცემა, რომელიც სრულად გადანაწილდება რაიონულ განყოფილებებზე.

რაც შეეხება "სოციალური მუშაობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული რაოდენობის ზევით ან/და ვადაზე ადრე სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა საშტატო ერთეულების მატებას, აგრეთვე, მათთვის ხელფასების ზრდას, გათვალისწინებული იქნება კანონის იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში დამტკიცებული (18.12.2018წ.) სამოქმედო გეგმის - N1, 2 და 3 დანართების შესაბამისად.

პატივისცემით,

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

თამაზ მოდებაძე